შინაგან საქმეთა სამინისტრო

2022 ანგარიში

ვემსახურები საქართველოს!

2022 წელს, პოლიციამ განაგრძო დანაშაულთან უკომპრომისო ბრძოლა, როგორც პრევენციული ღონისძიებები, ასევე, სწრაფი რეაგირება მომხდარ დანაშაულზე, რაც სტატისტიკურ მონაცემებში აისახა.

პოლიციის ეფექტიანი მუშაობის შედეგად, 2022 წლის დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი უპრეცედენტოდ მაღალია და 62%-ს აღემატება, რაც 2021 წლის მონაცემებთან შედარებით 12%-ით მეტია.

2022 წელს, გასულ წელთან შედარებით, დანაშაულის რაოდენობა დაკლებულია. შემცირებულია ისეთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები, როგორიცაა:

- მკვლელობა;
- მკვლელობის მცდელობა;
- ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება;
- ყაჩაღობა;
- ქურდობა;
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

უპრეცედენტოდ გაზრდილია როგორც ნარკოდანაშაულის გამოვლენის რიცხვი, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტების გამოვლენა.

სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს პოლიციელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე, ღირსეული სოციალური მდგომარეობის უზრუნველყოფასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე.

დანაშაულთან ბრძოლის გარდა, რომელიც პოლიციის საქმიანობის ძირითადი ნაწილია, 2022 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საზოგადოების უსაფრთხოებისა და უწყების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა.

2022 წელს დასრულდა კრიმინალური პოლიციის რეფორმის პირველი ეტაპი - სრულად გაიმიჯნა ოპერატიული, საგამოძიებო და პრევენციული მიმართულებები.

საგამოძიებო მექანიზმის გაძლიერების მიზნით, სამინისტრომ შეიმუშავა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისი თანმდევი ცვლილებები.

საკანონმდებლო ცვლილებები უზრუნველყოფს გამოძიების პროცესში გამომძიებლის როლის გააქტიურებას და საპროკურორო და საგამოძიებო უფლებამოსილებების დაბალანსებულ გადანაწილებას.

აღნიშნული რეფორმის კონცეფცია შეფასებულია ვენეციის კომისიის მიერ. კომისიის რეკომენდაციები დიდწილად ასახულია ინიცირებულ პროექტში, რომელიც წარდგენილია პარლამენტში და დაწყებულია მისი საკანონმდებლო განხილვის პროცედურები.

კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა დაცულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროში გრძელდება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის გაძლიერება.

2022 წელს, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტმა თბილისის ყველა რაიონი მოიცვა. თბილისის შემდეგ, რუსთავი გახდა პირველი ქალაქი, სადაც მართლწესრიგის ოფიცრები უკვე შეუდგნენ საქმიანობას.

რეფორმა გრძელდება და მართლწესრიგის ოფიცრები ეტაპობრივად საქართველოს ყველა დიდ ქალაქში დაიწყებენ მუშაობას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად განაგრძობს მუშაობას ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო კონცეფციის დანერგვაზე. კონცეფციის ფარგლებში, სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, უკვე დაკომპლექტდნენ ანალიტიკოსებით.

შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების ოთხწლიანი სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე, ახლო მომავალში დამტკიცდება 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმაც.

ევროპელი პარტნიორების დახმარებით მიმდინარე რეფორმის ობიექტური შეფასების კვლევაში ჩაერთო ევროკავშირის ექსპერტი, რომლის შეფასებით, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფცია საქართველოში დაინერგა ბევრად უფრო სწრაფად და ხარისხიანად, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში.



2022 წელს, საქართველომ ევროპული ინსტიტუტებისგან ევროპული პერსპექტივების შესახებ მნიშვნელოვანი გზავნილი მიიღო. პარტნიორებისგან საქართველოსთვის გაცემული რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი იყო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერება.

ორგანიზებული დანაშაულის ტენდენციებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ, როგორც მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის, ასევე, საქართველოსთვისაც, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს:

- ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა;
- კიბერდანაშაული;
- კრიმინალურ სამყაროსთან კავშირში მყოფი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები;
- ტრეფიკინგი.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით მუდმივ რეჟიმში ტარდება ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები, ხორციელდება საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა, ასევე, დანაშაულის ოპერატიული და ტაქტიკური ანალიზი.

2022 წელს ქართველი სამართალდამცველების მხრიდან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები:

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დანაყოფი - ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აქტიურად ახორციელებს ოპერატიულ და საგამოძიებო ღონისძიებებს „კანონიერი ქურდების“ და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირების მიმართ.

მუდმივად იხვეწება კანონმდებლობა, ასევე ხდება ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი დანაყოფების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

- 2022 წელს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 6 „კანონიერი ქურდი“, ასევე, „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდულ გარჩევაში“ მონაწილეობის, „ქურდული სამყაროსადმი“ მიმართვისა და მხარდაჭერის ფაქტზე დაკავებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 79 პირი;

- გასულ წელს პოლიციამ 202 ნარკორეალიზატორი დააკავა, რაც ბოლო წლების განმავლობაში უპრეცედენტოდ მაღალი ციფრია;

ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის დაკავებულია

202

პირი

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია

6

„კანონიერი ქურდი”

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდულ გარჩევაში“ მონაწილეობის, „ქურდული სამყაროსადმი“ მიმართვისა და მხარდაჭერის ფაქტზე დაკავებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია

79

პირი

- დაკავებულია ნარკოტიკებით ონლაინვაჭრობაში ჩართული 62 პირი, დაიხურა 12 ინტერნეტ ნარკოსარეალიზაციო მაღაზია;
- დაკავებულია და სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული 184 კიბერდამნაშავე;
- ტრეფიკინგის ბრალდებით პასუხისგებაშია მიცემული 5 პირი;

დაიხურა

12

ინტერნეტ ნარკოსარეალიზაციო მაღაზია

სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული

184

კიბერდამნაშავე

ტრეფიკინგის ბრალდებით პასუხისგებაშია მიცემული

5

პირი

- ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით შექმნილმა მობილურმა ჯგუფებმა რისკის შემცველი 40 ობიექტი შეამოწმეს;

- 2021 წლის მსგავსად, ტრეფიკინგის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიშში, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიხედვით, საქართველო ადგილს იკავებს მსოფლიოს მასშტაბით უმაღლეს საფეხურზე - პირველ კალათაში;

- 2022 წელს, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში, ინტერპოლის, ევროპოლისა და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით, პარტნიორ სახელმწიფოებთან ხორციელდებოდა ეფექტიანი ურთიერთობა, რაც წელსაც გრძელდება.

- 2022 წელს, ქვეყნის მასშტაბით, სამინისტროს მიერ დაკავებულია 307 ძებნილი პირი, მათ შორის 37 პირი იძებნებოდა ინტერპოლის წითელი ცირკულარით; საქართველოს პოლიციის მიერ ამოღებულია ინტერპოლის არხებით ძებნილი 56 ავტომობილი;

- ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, პოლიციის ატაშეების უშუალო ჩართულობით, 8 ერთობლივი საპოლიციო მასშტაბური ღონისძიება ჩატარდა, რა დროსაც დააკავეს 45 პირი, მათ შორის კრიმინალური ავტორიტეტები.

- საქართველოს პოლიციის ატაშეები წარგზავნილნი არიან 16 სახელმწიფოში, საიდანაც ჯამში მათ მიერ იფარება 24 სახელმწიფო. მიმდინარეობს საქართველოს პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოება და პროცედურების დასრულების შემდეგ, საქართველო წარგზავნის 2 პოლიციის ატაშეს ირლანდიის რესპუბლიკასა და ისრაელში. საერთო ჯამში დაიფარება 38 ქვეყანა. ასევე, დღეის მდგომარეობით, მეკავშირე ოფიცრები მივლენილი არიან ევროპოლის სათავო ოფისსა და ნატოს შტაბ-ბინაში;

- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასების და ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შესაბამის წინადადებებსა და რეკომენდაციებს შეიმუშავებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტად რჩება ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის კონტროლის ღონისძიებების ჩატარება. ეს განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა საქართველო სულ უფრო მეტად მიმზიდველი ხდება ტურისტებისთვის და ქვეყანაში ყოველდღიურად იზრდება ტურისტული ნაკადი.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საზღვრის ინტეგრირებული მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის, საზღვართან დაკავშირებული დანაშაულის შემცირებისა და პრევენციის მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით ამოქმედდა საზღვრის ეფექტიანი მართვისა და შიდაუწყებრივი კოორდინაციის პროექტი.

აღნიშნული პროექტით განისაზღვრება საზღვრის მართვის განვითარების პოლიტიკა, მუდმივად ხორციელდება რისკების შეფასება და ანალიზი, ხდება სასაზღვრო მონიტორინგი, ასევე მუშავდება მგზავრთა მონაცემები.

სასაზღვრო პოლიციის მიმართულებით, 2022 წელს გაუმჯობესდა კანონმდებლობა და პირველად მოხდა სახელმწიფო საზღვრის სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში გამაფრთხილებელი ნიშნების მონტაჟი.

სასაზღვრო პოლიციამ, სასაზღვრო რეჟიმს დაქვემდებარებულ ტერიტორიასთან მიახლოებისას ან აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოფნისას პირთა ინფორმირების მიზნით, სახელმწიფო საზღვართან გამაფრთხილებელი ნიშნები განათავსა.

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის კანონაღსრულების ტაქტიკურმა ქვედანაყოფებმა წარმატებით დაასრულეს NATO-ს ოთხდღიანი შეფასება.

ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ საქართველოსთვის ხმელთაშუა ზღვაში მიმდინარე ოპერაციის - „ზღვის მცველის“ ოპერაციული პარტნიორის მინიჭებასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. მან საქართველო ოპერაციულ პარტნიორად აღიარა.

გადაწყვეტილება NATO-ს საზღვაო ძალების სარდლობასა და სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვას შორის პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავების ახალი ეტაპის დასაწყისს წარმოადგენს.

საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით, 2022 წელს, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებული კანონპროექტები, რომელთა მიხედვითაც გამკაცრდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის განსაზღვრული საკანონმდებლო რეგულაციები.

განისაზღვრა უცხო ქვეყნის სახელმწიფოსანომრე ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალების მძღოლისთვის საჯარიმო ქვითრის ჩაბარების წესი.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ცვლილების თანახმად, 2022 წლიდან, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი გახდა.

სავალდებულო გახდა მოპედისა და მსუბუქი კვადროციკლის რეგისტრაცია.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით, აქტიურად ხორციელდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების განთავსება.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით სულ დამონტაჟებულია 6 230 ვიდეოკამერა, მათ შორის 1 949 ნომრის ამომცნობი და 4 281 ზოგადი ხედვის კამერა.

საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე სულ ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის 377 სექცია, რის საფუძველზეც კონტროლდება 1 493 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთი.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვი 7%-ით ნაკლებია.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრს გორის ფილიალი შეემატა, სადაც მოქალაქეებს საპატრულო პოლიციის 50-მდე სერვისის მიღება „ერთი ფანჯრის“ პრინციპით შეუძლიათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით, საპოლიციო სერვისის განმახორციელებელ დანაყოფებში: მომსახურების სააგენტოში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112"-სა და საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრებში დანერგილია ჟესტური ენით მომსახურება. შშმ პირებს მომსახურების მიღება შეუძლიათ, როგორც ადგილზე მისვლით, ასევე, დისტანციურად.

2022 წელს, საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, თბილისსა და რეგიონებში ჯამში 8 ლაბორატორიის აკრედიტაცია განახორციელა. მიმდინარეობს შემთხვევის ადგილზე მუშაობის სტანდარტიზება საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად. დასრულებულია დოკუმენტაციის შექმნის პირველი ნაწილი, რაც შემთხვევის ადგილზე სამოქმედო პროცედურების გაწერას გულისხმობს. პროცედურების სრულად განხორციელების შემდეგ მოხდება განაცხადის შეტანა აკრედიტაციის მისაღებად.

POLICE
POLICE

2022 წელს საერთაშორისო ISO სტანდარტი წარმატებით დაინერგა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ - „112“-ში, რაც უზრუნველყოფს ცენტრის მუშაობის ხარისხ-ის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებას, გამჭვირვალობასა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის შექმნას.

2022 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით, მთავრობასთან კოორდინაციითა და პარლამენტთან აქტიური თანამშრომლობით, არაერთი საკანონმდებლო ცვლილება შევიდა ძალაში.

ქართული კანონმდებლობა გაუმჯობესდა: საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რეგულირების, იარაღის საკანონმდებლო რეგულირების, სამოქალაქო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირების მიმართულებებით.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით დაწესდა რეგულაციები, რომლითაც მკაცრი კონტროლის ქვეშ მოექცა ცივი იარაღის ხელმისაწვდომობა და მისი თავისუფალი ბრუნვა.

გამკაცრდა ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებული სასჯელი.

2022 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ დაინიცირდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული იარაღის რეგულირების საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ამჟამად საქართველოს პარლამენტში განიხილება.

ადამიანის უფლებების დაცვისა და პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით 2022 წელს განხორციელდა რიგი ღონისძიებები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განაგრძო დანაშაულების გამოვლენის და დაწყებული გამოძიების პროცესის მონიტორინგი შემდეგი მიმართულებებით:

- ოჯახური დანაშაულები;
- ქალთა მიმართ ძალადობა;
- დისკრიმინაციის ნიშნით და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები;
- ტრეფიკინგი;
- არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულები;
- სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვისა და განმეორებითი ძალადობის პრევენციის მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის და საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის აქტიური ჩართულობით, გადამუშავდა რისკების შეფასების ინსტრუმენტი.

შესაბამის ბრძანებაში უკვე განხორციელდა საჭირო ცვლილებები, რომლებიც 2023 წლის 1 მაისიდან შევა ძალაში.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, უფრო მეტ მსხვერპლს ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს ძალადობისგან დაცვის ისეთი ეფექტიანი საშუალებით, როგორიც არის ელექტრონული ზედამხედველობა. ამ საშუალებით სარგებლობისთვის აუცილებელია თავად მსხვერპლის თანამშრომლობა პოლიციასთან და მისი თანხმობა ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების თაობაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ არაერთი სწავლება დაორგანიზდა და ჩატარდა.

შშმ პირების პროცესში ჩართულობისა და მათთან ეფექტიანი კომუნიკაციის საკითხებთან დაკავშირებით 2000-ზე მეტი პატრულ-ინსპექტორი გადამზადდა.

2022 წელს, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე მსჯავრდებულ პირთა მონიტორინგის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაცია მომზადდა. მისი პრაქტიკაში აღსრულების და მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა შესაბამისი დანაყოფის თანამშრომლები გადამზადდნენ.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მართლწესრიგის ოფიცრებს სიძულვილით მოტივირებულ ინციდენტებზე სამართალწარმოების შესახებ ტრენინგი ჩაუტარეს.

ასევე, ევროკავშირის პროექტის - „საქართველოში უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის მხარდაჭერა“ - ფარგლებში, დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ ტრენინგი ჩაუტარდათ.

2022 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ სხვადასხვა მიმართულებით 6405 მსმენელი მოამზადა.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა 5653 სამართალდამცველი, მათ შორის საზღვარგარეთ გადამზადება გაიარა 453 სამართალდამცველმა.

ინსტიტუციური განვითარების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმატებით განაგრძობს თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, არაერთი მაღალი დონის სამუშაო ვიზიტი და შეხვედრა განხორციელდა.

სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო შეთანხმებებისა და მემორანდუმების გაფორმების მიზნით, სხვადასხვა ეტაპზეა მოლაპარაკების პროცესი რიგ პარტნიორ სახელმწიფოებთან.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც შავი ზღვის უსაფრთხოებაზე საქართველოს მხრიდან პასუხისმგებელი ერთ-ერთი ძირითადი უწყება, წარმატებით ახორციელებს საზღვაო უსაფრთხოების პროექტს, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში.

ევროინტეგრაციის პროცესში უვიზო მიმოსვლის წარმატებით განხორციელების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როგორც უვიზო მიმოსვლის საკითხებზე ერთ-ერთმა წამყვანმა უწყებამ, არაერთი მნიშვნელოვანი და ქმედითი ნაბიჯი გადადგა.

კიდევ უფრო გაღრმავდა ორმხრივი თანამშრომლობა როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, ასევე, ევროპულ სააგენტოებთან - Frontex-თან, Europol-თან და თავშესაფრის საკითხებზე ევროკავშირის სააგენტოსთან, რაც დადებითად არის შეფასებული ევროპელი პარტნიორების მიერ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამართული საქმიანობისთვის, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, უმნიშვნელოვანესია უწყებაში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და პოლიციელებისთვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა.

ინფრასტრუქტურის განვითარება

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამართული საქმიანობისთვის, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უმნიშვნელოვანესია უწყებაში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და პოლიციელებისთვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა.

2022 წელს გაფართოვდა საპატრულო პოლიციის სამოქმედო არეალი და იმერეთის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში გაიზარდა საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უკონტაქტო პატრულირების ეკიპაჟები თბილისში ნომრის ამომცნობი (20 ერთეული) ვიდეო-ავტორეგისტრატორებით აღიჭურვა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ძებნილი ავტომობილების იდენტიფიცირების პროცესს. ასევე, სამინისტრომ პატრულ-ინსპექტორებისთვის დამატებით შეიძინა სამკერდე კამერები და ხელის რადიოსადგურები.

სასაზღვრო გამტარი პუნქტები დამატებით აღიჭურვა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით, მესაზღვრე-კონტროლიორების სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, განახლდა ინფრასტრუქტურა.

2022 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ტყის ხანძრები წარმოადგენდა.

მეხანძრე-მაშველები მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ ძებნა-შველისა და გადარჩენის ღონისძიებებში.

2022 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აღიჭურვა ახალი, სხვადასხვა ტიპის ავტომობილებით, მათ შორის, მაღალი გამავლობის ავტოტექნიკით, ყველაგანმავალი კვადროციკლებით, წყლის სატრანსპორტო საშუალებებით.

სრულად განახლდა სამთო-სამაშველო, მყვინთავი მაშველების, ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების აღჭურვილობა.

სამინისტრომ მეხანძრე-მაშველებისთვის შეიძინა სპეციალური ფორმები, ასევე, ცეცხლგამძლე ტანსაცმელი და მათი საქმიანობისთვის განკუთვნილი სხვადასხვა სახის აღჭურვილობა.

მნიშვნელოვანია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გაძლიერების მიზნით, მიმდინარე წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პირველ ეტაპზე 10 ერთეულ მაღალი გამავლობის სახანძრო ავტომანქანას შეისყიდის. ასევე გაგრძელდება სამსახურის ტექნიკური განახლებისა და გადაიარაღების პროცესი.

2022 წელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, მნიშვნელოვან წელს წარმოადგენდა. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციის შედეგად, 3 ახალი შვეულმფრენის შესყიდვის მიზნით, ფრანგულ კომპანია "Airbus Helicopters"-თან ხელშეკრულება უკვე გაფორმდა.

შვეულმფრენები, რომლებსაც სამინისტრო შეიძენს, არის მრავალფუნქციური და შეუძლია შეასრულოს საპოლიციო, სატრანსპორტო, სამძებრო და სამაშველო ოპერაციები. ახალი შვეულმფრენები სრულად დაკომპლექტდება ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით. აღნიშნული საავიაციო ტექნიკა დიდ სიმაღლეზე ოპერირებისა და მანევრის შესაძლებლობებით გამოირჩევა.

სასაზღვრო პოლიციის გაძლიერება, არამარტო საავიაციო მიმართულებით, არამედ სანაპირო დაცვის მიმართულებითაც მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვას თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, „დეფენდერის“ ტიპის 4 სწრაფმავალი მცირე საპატრულო კატარღა შეემატა.

2022 წელს, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ტექნიკური გაძლიერების მიზნით, არაერთი პროექტი განხორციელდა. განახლდა და სარემონტო სამუშაოები ჩატარდა საცხოვრებელ ყაზარმებში, მოეწყო საოკუპაციო ხაზთან არსებული საგუშაგოების ბაზები, დეპარტამენტის დაქვემდებარებულ სამმართველოებში დამონტაჟდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერები. ასევე, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ავტოპარკს 30 ახალი ავტობუსი შეემატა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაიწყო სპეციალური ოპერაციების მთავარი სამმართველოს ბაზის მშენებლობა.

2022 წელს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა მომსახურების სააგენტოშიც. რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის ტერიტორიაზე აშენდა სატრანსპორტო საშუალების იმპორტის, ექსპორტისა და რეექსპორტის საბაჟო პროცედურების განხორციელებისთვის ასევე, სატრანსპორტო საშუალების პირველადი რეგისტრაციისთვის განკუთვნილი შენობა, სადაც მოქალაქეებს „ერთი ფანჯრის" პრინციპით შეუძლიათ მიიღონ მომსახურების სააგენტოს სერვისები. ამავე ტერიტორიაზე აშენდა იარაღის რეგისტრაციის, ნებართვებისა და ცნობების გაცემისთვის განკუთვნილი შენობა.

იარაღის ბალისტიკისთვის საჭირო სივრცე მოეწყო რუსთავში, აგრეთვე, სააგენტოს საჩხერისა და ქუთაისის სამსახურებში. ამასთანავე, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის შევისყიდეთ ბალისტიკისთვის განკუთვნილი ტყვიის დამჭერი მოწყობილობები.

2022 წელს, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში, მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა ორეტაპიანი გახდა, შესაბამისად, მომსახურების სააგენტომ შეისყიდა გამოცდის ჩასაბარებელი ავტომობილები და საჭირო ტექნიკა.

2022 წელს, ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისთვის და მოძრავი ტვირთების დაცვის მიზნით, დაცვის პოლიციამ შეიძინა 15 ერთეული სპეციალიზებული, ჯავშნიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

ავტოპარკის შევსება წელსაც გაგრძელდება. გარდა ამისა, წლის განმავლობაში სისტემატურად მიმდინარეობდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული ჯგუფების ტექნიკური აღჭურვა.

უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, 2022 წელს ვირტუალური ტირით აღიჭურვა.

ვაჩიანსა და ტაბახმელაში პოლიციის ორი ახალი მულტიფუნქციური შენობა აშენდა, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინვენტარით.

2022 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გარემონტდა და კეთილმოეწყო 97 შენობა, მათ შორის 54 შენობა ეკუთვნის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს (პოლიციის დანაყოფებს).

ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის, მიგრაციისა და სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტებშიც.

პოლიცია
POLICE

2022 წლის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში მოხდა ავტოპარკის მნიშვნელოვანი განახლება.

ჯამურად, შეძენილია 580 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რაც გააუმჯობესებს შესაბამისი დანაყოფების ოპერატიულობას და ხელს შეუწყობს როგორც დანაშაულის პრევენციას, ასევე, საგრძნობლად შეამცირებს მომხდარ შემთხვევებზე რეაგირების დროს.

2021 წელს, ბოლო წლების განმავლობაში პირველად განხორციელდა ყველაზე მასშტაბური გადაიარაღება.

თანამედროვე სტანდარტების სამსახურებრივი საშტატო იარაღით აღიჭურვა განსაკუთრებულ დავალებათა, საპატრულო პოლიციისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლების ნაწილი.

გადაიარაღების პროცესი 2022 წელსაც აქტიურად გაგრძელდა.

პოლიციელების ღირსების დაცვა და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

2022 წლის პირველი იანვრიდან განხორციელდა პოლიციელების, პატრულ-ინსპექტორების, მესაზღვრეების, მეხანძრე-მაშველების და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომლის ხელფასების 10%-ით ზრდა.

2023 წლიდან, შტატიანი თანამშრომლების ხელფასი გაიზარდა 20%-ით, ხოლო დანარჩენი თანამშრომლების - 10%-ით, როგორც ყველა სხვა საჯარო უწყების თანამშრომლების.

2022-2023 წლებში, სამინისტროს თანამშრომლების ხელფასები მთლიანობაში 30%-ით გაიზარდა.

მუშაობა დაიწყო „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. ეს „ქალაქი“ აშენდება თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე და პირველ ეტაპზე, 1000-მდე პოლიციელი მიიღებს ბინას.

დიდი ყურადღება ეთმობა მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიმართულებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას. ამ მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უერთდება საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე, მათ შორის საერთაშორისო საინფორმაციო კამპანიებს. აღსანიშნავია ქალთა მიმართ ძალადობის, ნაადრევი ქორწინების, თანასწორობის კამპანიები. ასევე, მუდმივ რეჟიმში ხორციელდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საინფორმაციო აქტივობები.

2022 წელს, სამინისტროს მხრიდან მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაციის გაღრმავების მიზნით განხორციელდა კამპანია - „ემეგობრე პოლიციას“. კამპანიის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, დიდ ქალაქებში 12 საინფორმაციო-შემეცნებითი ღონისძიება ჩატარდა. სახალხო ღონისძიებების პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლები საჯარო და კერძო სკოლებში მართავდნენ შეხვედრებს, რომელთა მიზანი იყო ბავშვებსა და მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

YAMAHA

ემეგობრე
პოლიციას

შინაგან საქმეთა
სამინისტრო

2022
ანგარიში